ემიგრანტული და დისიდენტური პრესის ურთიერთანამშრომლობის ფორმები და მათი როლი საბჭოთა სისტემის რღვევაში (მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პერიოდიკის მიხედვით)

ნანული ტალახაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: nanuli.talakhadze@tsu.ge / nanatalakhadze@yahoo.com)
https://doi.org/10.52340/lac

ნაშრომი იკვლევს XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და ე.წ. საბჭოთა დისიდენტების კომუნიკაციის შესაძლებლობებსა და განხორციელების გზებს მედიურ ჭრილში. დავინტერესდით კონტრასტულ მედიაველებში ფუნქციონირებადი პლურალისტური ემიგრანტული პრესისა („ჩვენი დროშა“, „ივერია“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“) და საბჭოთა საქართველოში, ერთპარტიულ იდეოლოგიზირებულ მედიაგარემოში არალეგალურად დაბეჭდილი ე.წ. თვითგამოცემების („ოქროს საწმისი“ და„საქართველოს მოამბე“, 1975-1976 წწ.) ურთიერთთანამშრომლობის ფორმებით და მათი წვლილით საბჭოთა სისტემის რღვევაში.

შევისწავლეთ ვრცელი ემპირიული მასალა, სათანადო წყაროები, საგაზეთო პუბლიკაციები, სამეცნიერო სტატიები და კვლევის ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტური) და კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით გამოვკვეთეთ მონიშნული პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური რეალობის კონტექსტში დისიდენტური და ემიგრანტული მედიების კონსპირაციული კავშირები, ურთიერთგავლენა და პოლიტიკური ბმები, ასევე პუბლიცისტური დისკურსისა თუ ღირებულებითი ხედვების თავისებურებანი.

ქართული დისიდენტური და ემიგრანტული პრესა, რომელიც გაჯერებული იყო ანტისაბჭოთა ნარატივით, ის ერთობლივი ოპოზიციური პლატფორმა აღმოჩნდა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებასა და საბჭოთა სისტემის რღვევაშიც.

საკვანძო სიტყვები: დისიდენტი, „თვითგამოცემა“, ემიგრანტული პრესა, პოლიტიკური ემიგრაცია, ანტისაბჭოთა პროპაგანდა, ოპოზიციური პლატფორმა

ქართული ემიგრანტული და დისიდენტური ჟურნალისტიკა ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ორგანული შენაკადებია და მათი ჩამოყალიბება XX საუკუნის იმ ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების შედეგია, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციასთან და მის გასაბჭოებასთან არის

დაკავშირებული. ბევრი მამულიშვილი შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას, ნაწილი კი, ძირითადად, პოლიტიკური ელიტა, იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდა. მათი უმრავლესობა საფრანგეთში დაფუძნდა და იქიდან ცდილობდა დიპლომატიური თუ საგამომცემლო საქმიანობით საერთაშორისო პროგრესული საზოგადოების ყურადღების მიპყრობასა და საბჭოთა რეჟიმის მხილებას. ამ მხრივ, დასაფასებელია ემიგრანტული პრესის წვლილი, რომელიც დასავლურ მედიასივრცეში ფუნქციონირებდა და აქტიურად ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას.

,,რკინის ფარდის“ მიღმა, საბჭოთა საქართველოში დარჩა საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც ვერ ეგუებოდა არსებულ კოლონიურ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას და სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა დაუმორჩილებლობას (1924 წლის კახეთის აჯანყება, 1943 წ. ,,სამანელთა“ შეთქმულება, 1954 წ, „გორგასლიანის“აქცია და სხვ.), თუმცა უშედეგოდ, მათ ბოლშევიკური ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა. ვერც ე.წ. დესტალინიზაციის პროცესმა მოიტანა გაუმჯობესება, იგი მოჩვენებითი ,,დათბობა“ აღმოჩნდა და საბჭოთა მანქანა კვლავ ძველი მეთოდებით მოქმედებდა: საბჭოეთის ,,მოძულეთა“ დაპატიმრებებით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ,,გამოკეტვით“, ძალადობით, დაშანტაჟებით, ემიგრანტების გადმობირებით და, რა თქმა უნდა, საბჭოთა ერთპარტიული მასმედიით, რომელიც კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ დანამატს წარმოადგენდა და მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, კომუნისტური უკლასო საზოგადოების მშენებლობის მითებით კვებავდა საბჭოთა ხალხს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სსრკ-ში შექმნილმა ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვია დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს პოლიტიკის გააქტიურება სსრკ-ს მიმართ და ,,ცივის ომის“ დასრულებისკენ სწრაფვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1975 წელს ჰელსინკში ,,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტზე“ საბჭოთა კავშირის ხელმოწერა, რომელიც კონკრეტულ ვალდებულებებს ითვალის-წინებდა, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. თუმცა, ესეც ფიქცია აღმოჩნდა: ,,საბჭოთა ხელისუფლებას არც კი უცდია დადებული შეთანხმებების რეალიზება, განსაკუთრებით კი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების საკუთარ ქვეყანაში დამკვიდრება“ [საქართველოს ისტორია 2020: 461]. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ქვეყანაში იდეოლოგიური თუ სოციოკულ-ტურული გარემოს შედარებით ლიბერალიზაციას და უფლებადაცვითი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ღიად აპროტესტებდნენ სსრკ-ში ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევებს. ამ პერიოდში დაიწყო დისიდენტური მოძრაობა და შეიქმნა ჰელსინკის კავშირები მოსკოვსა და რამდენიმე რესპუბლიკაში, მათ შორის, საქართველოშიც 1974 წელს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ვიქტორ რცხილაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ,,ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი“, რომელიც 1975 წლიდან გაფორმდა, როგორც დისიდენტური ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სახელწოდებით. ამით საფუძველი ჩაეყარა დისიდენტურ მოძრაობას და ე.წ. თვითგამოცემების წარმოებასაც.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ყურადღებით ადევნებდა თვალს სსრკ-ში მიმდინარე პროცესებს და სწორედ დისიდენტებში ხედავდა მთავარ მოკავშირეებსა და თანამოაზრეებს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში და პირიქით, დისიდენტებიც პოლიტემიგრანტების თანადგომის იმედით ცდილობდნენ საერთაშორისო პროგრესული საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. ორივეს სტრატეგიული მიზანი აერთიანებდა - არაძალადობრივი გზით საბჭოთა რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ერთი მხრივ, ემიგრანტული პრესა ფუნქციონირებდა თავისუფალ, უსაფრთხო და პლურალისტურ მედიაგარემოში და, მეორე, ტოტალიტარული რეჟიმის ტყვეობაში, სადაც დისიდენტური თვითგამოცემები მალულად, კონსპირაციულად იბეჭდებოდა, თანაც მცირე ტირაჟით და მათი მკითხველამდე მიტანა უსაფრ-თხოების დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული. ფაქტობრივად, დისიდენტური თვითგამო-ცემები, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა როგორც ოპოზიციური პლატფორმა, რომელიც უფლებადაცვით პრობლემებზე უფრო აპელირებდა, თუმცა რესპუბლიკებში მას ნაციონალური იდენტობის საკითხიც დაემატა და ამით საქართველოს დისიდენტური მოძრაობაც გამოირ-ჩეოდა. ,,ეროვნული მოძრაობის აღორძინება საქართველოში 1975 წლიდან იწყება, როდესაც შეიქმნა პირველი დისიდენტური ორგანიზაცია ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი". ამ ორგანიზაციის ლიდერებმა ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ არა მარტო ადამიანის უფლებების დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება (რაც საბჭოთა კავშირში არსებული არალეგალური დისიდენტური ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იყო), არამედ ძირითადი აქცენტი ეროვნულ საკითხებზე გადაიტანეს" [დავითაშვილი 2015: 76].

70-80-იან წლებში ქართული ემიგრაციის პერიოდიკის ცენტრად კვლავ საფრანგეთი რჩებოდა, სადაც სტაბილურად ფუნქციონირებდა პარტიული პრესა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო ,,ჩვენი დროშა", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ,,ივერია" და თავისუფალი გაზეთი ,,თავისუფლების ტრიბუნა" - ,,საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლთა ორგანო", რომელიც 1984 წლიდან ,,გუშა-გის" სახელწოდებით გამოდიოდა. უცვლელი დარჩა პოლიტემიგრანტების საერთო მიზანი - საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა და მთავარი პრინციპი - ,,არავითარი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან", რომელიც ნაწილობრივ ეხმიანებოდა დისიდენ-ტების სამოქმედო ამოცანებს და ეს აისახა კიდეც ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოცემულ ე.წ. თვითგამოცემებში: ლიტერატურული მიმართულების ,,ოქროს საწმისსა" (1975-1976 წწ., გამოვიდა 4 ნომერი) და პოლიტიკური ხასიათის ,,საქართველოს მოამბეში" (1976 წ. გამოვიდა 2 ნომერი).

დისიდენტები აქტიურად თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის მედიასაშუალებებთან და მათ შორის ემიგრანტულ მედიას აწვდიდნენ ინფორმაციებს ისეთ მოვლენებზე, რომლებიც საბჭოთა პრესაში ან საერთოდ არ აისახებოდა ან არაობიექტურად შუქდებოდა და ქვეყნდებოდა რუბრიკებით: ,,საქართველოს ამბები", „თვითგამოცემები", „თვითგამო-ცემათა ახალი მასალები საქართველოდან" და სხვ. მას ხშირად იყენებდა

ანტისაბჭოთა რადიოსადგური ,,თავისუფ-ლებაც“. ფაქტობრივად, ეს იყო ალტერნატიული პლატფორმა, რომელიც საბჭოთა პრესაში გაშუქებულ დეზინფორმაციულ მასალებს ანეიტრალებდა

ემიგრანტულ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაციები საბჭოთა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი და „ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის“ გასამართლებული და დასჯილი ადამიანების შესახებ (მ. კოსტავას, ნ. ფაილოძის, ზ. ლაშქარაშვილის, ვ. ჩიტაიასა და სხვ.)“, იმ ახალგაზრდების დაპატიმრებაზე, რომლებმაც ,,გააპროტესტეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 200 წლისთავის აღნიშვნა და ნაბეჭდი ფურცლები გაავრცელეს“ (პ. საღინაძე, დ. ბერძენიშვილი, თ. ჩხეიძე, და სხვ.), [გუშაგი 1984:2]. შემაშფოთებელი მასალები დაიბეჭდა იმ დისიდენტებზე, რომლებსაც განსხვავებული აზრის გამო ფსიქიატრიულ საავადმ-ყოფოებში ათავსებდნენ, მაგ., ,,გუშაგი“ წერდა, რომ ფსიქიატრიულში გარდაიცვალნენ უკრაი-ნელი ჟურნალისტი ვალერი მარჩენკო და 58 წლის პოეტი ვალენტინ სოკოლოვი, რომელმაც ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის 34 წელი გაატარა ჩვეულებრივ ციხეებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ექიმ-ფსიქიატრ ალექსი კორიაგინსკის არ აპატიეს იმ საბუთების საქვეყნოდ გამომზეურება, რომლებიც მოწმობდა, რომ საბჭოთა კავშირში ფსიქიატრიას იყენებენ როგორც პოლიტპატიმრების დასჯის საშუალებას, ხოლო, 70 წლის ნიკოლოზ სამხარაძე დააპატიმრეს და სულით ავადმყოფად გამოაცხადეს იმის გამო, რომ „მოითხოვდა ქართული ენის სწავლების გაძლიერებას და საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შემოღებას საშუალო სკოლებში“[გუშაგი 1985:4].

საგანგებო ყურადღებას იჩენდნენ ემიგრანტი პუბლიცისტები იმ რუსი დისიდენტებისადმი, რომლებიც გარდა უფლებადაცვითი საკითხებისა, აპელირებდნენ სსრკ-ის ერთა თვით გამორკვევის პრობლემებზეც. მაგ., ,,ჩვენმა დროშამ“ გამოაქვეყნა ,,რუსი დისი-დენტების დეკლარაცია“ -ბუკოვსკისა და ვლადიმეროვის ხელმოწერებით, სადაც ავტორები მხარს უჭერდნენ ,,ნაციონალური განახლებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მოქმედ ყველა მოძრაობას“ [ჩვენი დროშა 1979:92], რომელსაც რედაქციამ კომენტარიც დაურთო, ,,საბჭოთა ფარგლებში ძალად მოქცეულ ერთა“ გათავისუფლება თავად რუსი ხალხის ინტერესებშიც არისო.

დისიდენტების პროტესტის გამოხატვის თავდაპირველი ფორმა სსრკ-ში აკრძალული მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია იყო, იმ ნაწარმოებების ბეჭდვა და გავრცელება, რომლებიც კრიტიკულად წარმოსახავდნენ საბჭოთა ყოფას და ამხელდნენ რეჟიმს. ზოგიერთი მათგანი ქართულ ენაზე ითარგმნებოდა და გამოიცემოდა (ვ. სოლჟენიცინის ,არქიპელაგი გულაგი“ და სხვ.). ემიგრანტულ პრესაშიც ხშირად გაისმოდა სოლჟენიცინისა და სხვა ,,შერისხულ“ მწერალეთა სახელები. სოციალ-დემოკრატი პეტრე სარჯველაძე აღნიშნავდა, რომ ,,სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა რეჟიმის მამხილებელი მხატვრული ნაწარმოებები. სოლჟენიცინის მიმართ დიდი ინტერესია და მას სამიზდატებსაც თუ დავუმატებთ, საერთო ჯამში ჩენ მივიღებთ სერიოზულ მოძრაობას“[ჩვენი დროშა 1975:83]. სხვა ნომრებში კი განიხილავდა სოლჟენიცინის, სახაროვის და სხვა დისიდენტების

საქმიანობას, რომლებმაც ,,შექმნეს ვეებერ-თელა ანტიკომუნისტური ლიტერატურა“ [ჩვენი დროშა 1978: 91]. ,,მამულს განშორებულის“ ფსევდონიმითკი გიორგი წერეთელი ვ. სოლჟენიცინს ,,ჩვენი დროის ბუმბერაზ რუს მწერალსა და მოქალაქეს“ უწოდებდა, რომელიც უშიშრად განაგრძობს თავის ტიტანურ ბრძოლას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ“ და მკითხველს ვრცლად აცნობდა მწერლის ბიოგრაფიას, ქვეყნიდან გაძე-ვების, ,,არქიპელაგი გულაგის“ გამოცემის ისტორიას და საბჭოთა პრესის ცილისწამებლურ კამპანიას, სადაც მწერალი,, მოღალატედ, მკვდრებით მოვაჭრედ და ფაშისტად არის გამოცხადებული [თავისუფლების ტრიბუნა 1974:2]. იგივე ავტორი სტატიაში ,,ოპოზიცია საბჭოთა კავშირში“ გარდა სოლჟენიცინსა, წერდა ,,შესანიშნავ რუსზე“ - ანდრეი სახაროვზე, ვალერი ჭალაძეზე - ,,ჩვენს თანამემამულე, ნიჭიერ ფიზიკოსზე“ და სხვა უკრაინელი თუ ბალტიისპირელი უფლებადამცველების ღვაწლის შესახებ [თავისუფლების ტრიბუნა 1974:1]

ემიგრანტული პრესა იმედიანად გამოეხმაურა 1978 წლის 14 აპრილს თბილისში ქართული ენის დასაცავად გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციას და სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ერმა კრემლს უკან დაახევინა და მორალურად გაიმარჯვა. ეროვნულ-დემოკრატი გივი გაბლიანი წერდა: ,,შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ ლენინურ სამოთხეში ამ ბოლო ხანებში, ,,მოძმე'' არარუს რესპუბლიკებში მშობლიურ ენასაც შეუტიეს და მეფის რუსეთის მაგვარად სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადება მოინდომეს. ეს ერის საბოლოოდ გადამგვარებელი ველიკორუსული შემოტევა, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველომ მოიგერია, ჯერჯერობით მაინც. პატრიოტთა ასეთი საქციელი წინაპართა ძვლებს საფლავებში გაახარებს [ივერია1978:20].

მიუხედავად განსხვავებული იდეოლოგიური ხედვებისა, ემიგრანტული პოლიტიკური სპექტრი მტკიცედ თანხმდებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის მშვიდობიან ფორმებზე და საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ დისიდენტური მოძრაობა არაძალადობრივი მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს. როცა ემიგრანტულ პრესაში დაიბეჭდა დასავლურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციები ,,ანტიმოსკოვურ“ დივერსიებზე და თბილისში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე, რედაქციამ მინაწერში განაცხადა: ,,თუ ისინი გამოხატავენ ეროვნულ -განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთოდს, ჩვენ ასეთი ზომები მიგვაჩნია დაუშვებლად“ [ჩვენი დროშა 1979 :92].

პოლიტემიგრანტები ქართველ დისიდენტებსაც ყურადღებით აკვირდებოდნენ და მათ ფოკუსში ყველაზე მეტად ზვიად გამსახურდია ხვდებოდა. აღსანიშნავია ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული თანამშრომლობა ,,თავისუფლების ტრიბუნასთან“, რომელიც ერთ-ერთი მიზეზთაგანი აღმოჩნდა საქართველოს მწერალთა კავშირიდან მისი გარიცხვისა და დაპატიმრებისა. 1977 წლის 1 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ზვიად გამსახურდიას ბრალად დასდეს ემიგრანტულ ჟურნალ ,,თავისუფლების ტრიბუნასთან“ კავშირი და ე.წ ,,ნივთმტკიცებად“ სხდომაზე ჟურნალის ის ნომერი წარადგინეს, სადაც დაბეჭდილი იყო ზვიად გამსახურდიას ,,ღია წერილი პროფესორ ლანგს“ და კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნოველა. ამავე სხდომაზე საბჭოთა მწერლების რისხვა გამოიწვია თვითთგამოცემაში ,,ფაშისტი გენერლისა

და და ქართველი ხალხის გამყიდველის“, შალვა მაღლაკელიძის ხსენებამაც [ოქროს საწმისი 2006:24]. ,,ქართული თვითგამოცემებისთვის საბედისწერო გამოდგა მეორე მსოფლიო ომის მონაწილის შალვა მაღლაკელიძის ნეკროლოგის გამოქვეყნება, რომლიც ვიქტორ რცხილაძეს ეკუთვნოდა და ასე მთავრდებოდა: ,,სიმბოლური იყო ბატონი შალვას გარდაცვალება 7 ნოემბერს, მაშინ როცა საქართველოს სატახტო ქალაქის მთავარ გამზირზე რუს დამპყრობელთა საზეიმო ჩექმების ბრახუნი ისმოდა, პატარა მიყრუებულ ოთახში საქართველოს მხედართმთავრის გაცივებული ცხედარი ესვენა ქართველთაგან დაუტირები“ (ტალახაძე 2014:428). „თავისუფლების ტრიბუნამ“ პირველმა დაბეჭდა ინფორმაცია ,,ოქროს საწმისის“ შესახებ და ჟურნალის პირველი ნომრის შინაარსი ამცნო მკითხველს, მინაწერით რომ ეს ,,გამოცემა არის თვითმყოფადი და ძალიან საინტერესო“ და გამოთქვა ჟურნალის საფრანგეთში დაბეჭდვის სურვილიც [თავისუფლების ტრიბუნა 1978: 11-12]. მართალია, ,,ოქროს საწმისი“ ლიტერატურული მიმართულებისა იყო, მაგრამ მასში დაბეჭდილი თითქმის ყველა მხატვრული ტექსტი, პროზისა თუ პოეზიის ნიმუში ანტისაბჭოთა განწყობით არის გამსჭვალული. ჟურნალში ქვეყნდებოდა ემიგრანტი მწერლების ნაწარმოებებიც. მათ შორის,,ხალხის მტრად“ შერაცხული გრიგოლ რობაქიძის 1943 წელს ბერლინში შექმნილი ლექსი ,,ქართველი დედის წერილი“ (ომში წაყვანილი შვილისადმი), მესამე ნომერში კი სტეფან ცვაიგის ,,წინასიტყვა ,,გველის პერანგისა“. რედაქციამ გამოსათხოვარი წერილით გააცნო მკითხველებს ემიგრაციაში ,,ახლახან გარდაცვლილი“ გიორგი გამყრელიძის ლექსები, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო გიორგი ზოდელის ფსევდონიმით და სხვ.

ემიგრანტული პრესა მწვავედ გამოეხმაურა თვითგამოცემების დახურვასა და მისი ავტორების დაპატიმრებას. ამ ფაქტს ვრცელი წერილი მიუძღვნა ,,ჩვენი დროშის“ ფურცლებზე სოციალ-დემოკრატმა ა. ბადრიძემ, რომელიც წერდა, რომ ზვიადი დასაჯეს იმიტომ, რომ მან “ამხილა მოსკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკა, მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, გაამჟღავნა საეკლესიო ამბები და ეს ვერ აპატია საბჭოთა ხელისუფლებამ“, ავტორი რედაქციის სახელით მოითხოვდა ზვიად გამსახურდიასა და სხვა დისიდენტების გათავისუფლებას, რათა ,,გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა ეროვნული ღირსების, ერისა და ადამიანის დასაცავად“[ჩვენი დროშა1977:89] .

80-იანი წლებიდან საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მუხტი შენელდა, დისიდენტების უმრავლესობა დაპატიმრებული ან სამშობლოდან გააძევეს, მაგრამ უკვე იცვლებოდა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი, საბჭოთა იმპერიაში მწიფდებოდა სერიოზული ცვლილებები ე. წ. პერსტროიკის“ სახით, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში ღიად, საყოველ-თაოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რომელსაც დისიდენტებიც შეუერთდნენ. როგორც ეროვნულ-დემოკრატი გივი გაბლიანი წერდა: ,,საბოლოოდ ისტორია გვასწავლის, რომ იმპერია როგორც ბავშვი იბადება, იზრდება, ხუცდება და ბოლოს კვდება. ასეთ ბედს ვერც წითელი იმპერია აცდება...მპერიათა სისასტიკეს გადააჭარბა“ [ივერია1978:20]. ამრიგად, ქართული დისიდენტური და ემიგრანტული პრესა, რომელიც გაჯერებული იყო ანტისაბჭოთა ნარატივით, ის

ერთობლივი ოპოზიციური პლატფორმა აღმოჩნდა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებასა და საბჭოთა სისტემის რღვევაშიც.

ლიტერატურა:

1. **ბენდიაშვილი ალ., დაუშვილი ალ., ნათმელიძე მ.** ,- საქართველოს ისტორია, (საქართველო XIX-XX საუკუნეებში), ტომი IV, გამომცემლობა ,,პალიტრაL". თბილისი. 2020.
2. **დავითაშვილი ზ.,** ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პერიოდში", თსუ, სამეცნიერო შრომების კრებული ,,სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა". № 3. თბილისი, 2015

გაზეთები :

3. **,,ოქროს საწმისი",** ქართული თვითგამოცემა 30 წლისაა გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე". თბილისი. 2006.
4. **ტალახაძე ნ.,**- ნაციონალური იდენტობის პრობლემები საბჭოთა პერიოდის დისიდენტურ მედიაში. თსუ, სამეცნიერო შრომების კრებული ,,სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, № 2. თსუ, 2014

პრესა:

5. ჩვენი დროშა, 1975 #83, 1977 # 89, 1978 #91, 1979 #92
6. თავისუფლების ტრიბუნა" 1974 #1, #2 #3 , 1976 #11-1
7. ივერია, 1978 #20
8. გუშაგი 1984 #2. 1985 #4.

Nanuli Talakhadze

Iv. Javakhishvili State University

Forms of cooperation between the emigrant and dissident press and their role in the collapse of the Soviet system (according to the periodicals of the 70-80s of the XX century)

Abstract

The work investigates the Georgian political emigration and the so-called Soviet dissidents' communication possibilities and ways of implementation in the media. Specifically, we were interested in the pluralistic immigrant press ("Chveni drosha", "Iveria", "Tavisuflebis tribuna", "Gushagi") operating in contrasting media fields and so-calles illegally printed in the one party ideological media ("Oqros satsmisi", "Saqartvelos moambe", 1975-1976) invironment in Soviet georgia. With the forms of mutual cooperation of self-publishers and their contribution to the breakdown of the Soviet System.

We have studied extensive empirical material, relevant sources, newspaper publications, scientific articles and using the historical-comparative and content analysis method of research, we have putlined conspiratorial connections, mutual influence and political ties of dissident and

immigrant media in the context of the historical-political reality of the marked period, as well as jounnalistic discourse and Pecularities of value visions.

The research showed that even in the 70s and 80s of the XXth century, the historical goal – the restoration of Georgia's complete independence and the main principle –"no coopereration with the Soviet authorities" remained unchanged for Georgian political immigrants. In achieving the goal, they saw dissidents as their main allies and associates, and, on the contrary, dissidents who tries to attract the attention of the political circles and media of the democratic countries of the world, in this regard they also hoped for the support of immigrants, who managed to expose the communist regime not only through diplomatic methods, but also through journalism.

The Georgian emigrant and dissident press, which was saturated with anti-Soviet narrative, turned out to be a joint opposition platdorm that contributed to the objective information of the society and the breakdown of the Soviet system.

Key words: disident, "Self-publishing", immigrant press, political emigration, anti-Soviet propaganda, opposition platform.